რატომ უნდა ვენდოთ თეიმურაზ შაშიაშვილს

„არ გვექნება შტაბები, არ გვეყოლება შტატიანი თანამშრომლები... მე მარტო უნდა ვიბრძოლო!“ – ღიად აცხადებს პრეზიდენტობის კანდიდატი **თეიმურაზ შაშიაშვილი.**

მისი აზრით, **უნდა დაიმსხვრეს მითი, რომ არჩევნებში მთავარი ფულია და არა ამომრჩევლის უანგარო მხარდაჭერა!**

მისთვის ყოვლად მიუღებელია საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში გაბატონებული აზრი, რომ მომავალი პრეზიდენტი აუცილებლად გახდება ის, ვისაც **„ქართული ოცნება“** მხარს დაუჭერს!

სწორად ბრძანებს ბ-ნი თეიმურაზი ამომრჩევლისადმი მიმართვაში **- „უნდა გაიმარჯვოს არა პარტიის, არა ოლიგარქიის, არამედ, ხალხის ინტერესების გამომხატველმა კანდიდატმა... ვიდრე ეს არ მოხდება, ქვეყანა კრიზისიდან არ გამოვა.“**

დარწმუნებული ვართ, მხარდაჭერის შემთხვევაში **თეიმურაზ შაშიაშვილი** სახალხო (ხალხის) პრეზიდენტი იქნება, რადგან, იგი არანაირი ვალდებულებებით არ არის დატვირთული, რადგან, იგი **„შიშველი ხელებით“** შემოდის საარჩევნო მარათონში და მზად არის ბოლომდე იბრძოლოს გამარჯვებისთვის, რომელიც ქართველი ერის გამარჯვებაც იქნება!

რაც ყველაზე ნიშანდობლივია, მან იცის, როგორ გამოვიყვანოთ ქვეყანა ღრმა კრიზისიდან, როგორ მივაღწიოთ კონსენსუსს დაპირისპირებულ მხარეებს შორის, როგორ ვისაუბროთ ისტორიულ მეზობლებთან და სტრატეგიულ პარტნიორებთან.

დაიმახსოვრეთ მისი სიტყვები: **ნუ გავყიდით ხმებს! – ვინც ხმას ყიდის და ისიც, ვინც ხმას ყიდულობს, ქვეყანასაც ყიდის და საკუთარ მომავალსაც!**

ჩვენ მას ვენდობით, ენდეთ თქვენც!

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N6, II სართული
ტელ.: 599 56-14-57; 591 27-90-47
E-mail: zaurnachkebia@mail.ru

თეიმურაზ შაშიაშვილი

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად

ერთად გავიმარჯვოთ საქართველოსთვის!
ჩემგან ღალატი არ იქნება!

ავტობიოგრაფიული შტრიხები

დაიბადა - 1951 წელს.

პროფესიით - პოლიტოლოგი და ინჟინერ-ეკონომისტია.

მუშაობდა - ახალგაზრდულ და პარტიულ ორგანოებში, ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1990 წ. - არჩეულ იქნა უზენაესი საბჭოს წევრად (ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს).

1992 წ. - არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

1993-1995წწ. - ქუთაისის პირველი მერი.

1995-2003წწ. - იმერეთის გუბერნატორი.

2003-2018 წწ. ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. არის რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის („ქართული ერთობის დარბაზი“, „მეცნიერთა კონგრესი ეროვნული თანხმობისთვის“, „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“) დაფუძნების ინიციატორი.

დაჯილდოებულია მართლმადიდებელი ეკლესიის ჯილდოებით, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. არის გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მრავალი სამეცნიერო შრომისა და ბროშურის ავტორი სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.

ჰყავს მეუღლე და 3 შვილი.

გამოკვეთილად აქვს ლიდერის თვისებები. კომუნიკაბელური, პრინციპული და კრეატიულად მოაზროვნეა. აქვს რეალური ხედვა სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებით.

პრეზიდენტის კანდიდატის წინასაარჩევნო გზავნილები

❖ **საქართველოს ხსნა ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების ერთობაშია, ქვეყანა ერის ბუნებიდან გამომდინარე უნდა იმართებოდეს.**

❖ **საქართველოს განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მოყვანა ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით და ქართული კულტურის გადარჩენა-განვითარებისთვის ზრუნვა.**

❖ **მომავალი აქვს იმ ქვეყანას, სადაც მასწავლებელს, მეცნიერს, შემოქმედს და მეწარმეს სათანადო პატივს მიაგებენ, ხოლო ახალგაზრდა თაობას სწორი ორიენტირის დასახვაში ეხმარებიან.**

❖ **ერთად შევქმნით ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც გამარჯვებას კი არ იყიდის, არამედ მოიპოვებს!**

❖ **უნდა გაიმარჯვოს არა ოლიგარქის ფავორიტმა, არა ქვეყნის გარედან მართულმა, არამედ ხალხის ინტერესების გამომხატველმა სახალხო კანდიდატმა.**

❖ **ავაშენოთ ქვეყანა, სადაც სისტემა ვერ ჰგუობს ტყუილს, ცილისწამებას, აღვირახსნილობას. სადაც დაცულია თითოეული მოქალაქის უფლება და თავისუფლება.**

❖ **მე ვიქნები ხალხის კანდიდატი და მხოლოდ ხალხის წინაშე მექნება პასუხისმგებლობა.**

❖ **არჩევნებისთვის ვიბრძვით შეთანხმებულად, მაგრამ ცალ-ცალკე და ვერთიანდებით გამარჯვებაში.**

❖ **სწორი არჩევანით გავიმარჯვოთ საქართველოსთვის!**